



# ფინანსური ანგარიშგება და პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

## შპს AS 24 საქართველო

2022 წლის 31 დეკემბერი



# სარჩევი

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                              | 4  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება                                    | 5  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება                        | 7  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები            | 8  |
| 1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია                      | 8  |
| 2. შედგენის საფუძველი                                           | 8  |
| 2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე                           | 8  |
| 2.2. მომზადების საფუძველი                                       | 8  |
| 2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა                          | 8  |
| 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები                | 8  |
| 3.1. უცხოური ვალუტა                                             | 8  |
| 3.2. ძირითადი საშუალებები                                       | 9  |
| 3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება                          | 9  |
| 3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები                          | 10 |
| 3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                 | 10 |
| 3.6. სესხები და ოვერდრაფტები                                    | 10 |
| 3.7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                              | 11 |
| 3.8. კაპიტალი                                                   | 11 |
| 3.9. შემოსავალი                                                 | 11 |
| 3.10. გადასახადები                                              | 11 |
| 4. ძირითადი საშუალებები                                         | 12 |
| 5. გადახდილი ავანსები                                           | 12 |
| 6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე                            | 12 |
| 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                   | 12 |
| 8. სესხები                                                      | 13 |
| 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                | 13 |
| 10. შემოსავალი რეალიზაციიდან                                    | 13 |
| 11. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება                        | 13 |
| 12. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                      | 13 |
| 13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები                             | 14 |
| 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                   | 14 |

## პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანტ თორნტონ  
ქეთევან წამებულის გამზირი 54  
0144, თბილისი, საქართველო  
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC  
54 Ketevan Tsamebuli Avenue  
0144 Tbilisi, Georgia  
T + 995 322 604 406

შპს „AS 24 საქართველო“-ს ხელმძღვანელობას

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შევადგინეთ შპს „AS 24 საქართველო“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებები“, შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა მურღაია  
თანამმართველი-პარტნიორი

2023 წლის 30 სექტემბერი



## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ქართული ლარი                              | შენიშვნა | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი | 2020 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>                           |          |                           |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>              |          |                           |                           |                           |
| ძირითადი საშუალებები                      | 1        | 41,069                    | 39,462                    | 10,971                    |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>          |          | <b>41,069</b>             | <b>39,462</b>             | <b>10,971</b>             |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                 |          |                           |                           |                           |
| გადახდილი ავანსები                        |          | 21,873                    | 18,769                    | 20,857                    |
| მარაგები                                  |          | 10,084                    | 10,011                    | 8,859                     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                |          | 332,056                   | 147,230                   | 533,257                   |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე         |          | 571,031                   | 1,455,603                 | 2,455,947                 |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>             |          | <b>935,044</b>            | <b>1,631,613</b>          | <b>3,018,920</b>          |
| <b>სულ აქტივები</b>                       |          | <b>976,113</b>            | <b>1,671,075</b>          | <b>3,029,891</b>          |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>          |          |                           |                           |                           |
| <b>კაპიტალი</b>                           |          |                           |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                        |          | 1                         | 1                         | 1                         |
| გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)             |          | (181,277)                 | (182,069)                 | 637,879                   |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       |          | <b>(181,276)</b>          | <b>(182,068)</b>          | <b>637,880</b>            |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          |                           |                           |                           |
| გრძელვადიანი სესხები                      |          | 778,788                   | 1,470,402                 | 1,890,951                 |
| <b>მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>778,788</b>            | <b>1,470,402</b>          | <b>1,890,951</b>          |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          |                           |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             |          | 375,048                   | 109,747                   | 496,261                   |
| დარიცხული პროცენტები                      |          | -                         | -                         | 2,032                     |
| საგადასახადო ვალდებულებები                |          | 3,553                     | 2,994                     | 2,767                     |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          | <b>1,157,389</b>          | <b>1,853,143</b>          | <b>2,392,011</b>          |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |          | <b>976,113</b>            | <b>1,671,075</b>          | <b>3,029,891</b>          |

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| ქართული ლარი                                     | შენიშვნა | 2022 წელი      | 2021 წელი        |
|--------------------------------------------------|----------|----------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                         | 7        | 3,796,632      | 3,434,575        |
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება             | 8        | (3,517,307)    | (3,215,876)      |
| <b>მთლიანი მოგება</b>                            |          | <b>279,325</b> | <b>218,699</b>   |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                | 11       | (214,122)      | (279,076)        |
| <b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან</b>           |          | <b>65,203</b>  | <b>(60,377)</b>  |
| ფინანსური ხარჯი                                  |          | -              | (30)             |
| კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) |          | (64,411)       | (121,662)        |
| <b>მოგება გადასახდამდე</b>                       |          | <b>792</b>     | <b>(182,069)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                        |          | -              | (61,373)         |
| <b>წმინდა მოგება პერიოდისთვის</b>                |          | <b>792</b>     | <b>(243,442)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                            |          | -              | -                |
| <b>სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის</b>    |          | <b>792</b>     | <b>(243,442)</b> |

# ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

| ქართული ლარი                                             | 2022 წელი          |
|----------------------------------------------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან</b>            |                    |
| შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან                        | 3,859,767          |
| <b>მთლიანად მიღებული</b>                                 | <b>3,859,767</b>   |
| გადახდილი თანხები ადგილობრივ მომწოდებლებზე               | (2,422,884)        |
| გადახდილი თანხები უცხოელ მომწოდებლებზე                   | (1,388,238)        |
| გადახდილი ავანსები                                       | (36,128)           |
| გადახდილი დაზღვევა                                       | (20,483)           |
| გადახდილი ხელფასები                                      | (145)              |
| გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი                           | (21,589)           |
| გადახდილი ბანკის საკომისიო                               | (2,736)            |
| სხვა გადახდები                                           | (100)              |
| <b>მთლიანად გადახდილი</b>                                | <b>(3,892,302)</b> |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან</b>     | <b>(32,535)</b>    |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>        |                    |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                             | (6,049)            |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>(6,049)</b>     |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>           |                    |
| გადახდილი სესხი                                          | (565,660)          |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>    | <b>(565,660)</b>   |
| ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა შემცირება   | (604,244)          |
| უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე       | (280,328)          |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში    | 1,455,603          |
| <b>ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს</b>  | <b>571,031</b>     |

## საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

| ქართული ლარი                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>მოგება/<br>(ზარალი) | სულ              |
|------------------------------------------------|-----------------------|----------------------------------|------------------|
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>                  | <b>1</b>              | <b>637,879</b>                   | <b>637,880</b>   |
| წლის ზარალი                                    | -                     | (243,442)                        | (243,442)        |
| <b>სულ პერიოდის სრული შემოსავალი / (ხარჯი)</b> |                       | <b>(243,442)</b>                 | <b>(243,442)</b> |
| დივიდენდები                                    | -                     | (576,506)                        | (576,506)        |
| <b>სულ ოპერაციები მფლობელებთან</b>             | <b>-</b>              | <b>(576,506)</b>                 | <b>(576,506)</b> |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>                  | <b>1</b>              | <b>(182,069)</b>                 | <b>(182,068)</b> |
| წლის მოგება                                    | -                     | 792                              | 792              |
| <b>სულ პერიოდის სრული შემოსავალი / (ხარჯი)</b> | <b>-</b>              | <b>792</b>                       | <b>792</b>       |
| დივიდენდები                                    | -                     | -                                | -                |
| <b>სულ ოპერაციები მფლობელებთან</b>             | <b>-</b>              | <b>-</b>                         | <b>-</b>         |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>                  | <b>1</b>              | <b>(181,277)</b>                 | <b>(181,276)</b> |

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს AS 24 საქართველო (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2011 წელს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 404914651) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოა. მისი ძირითადი საქმიანობაა ღიზელის საწვავით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია თბილისი, ქ. ქეთევან დედოფალის გამზირი N 54.

კომპანიის 100%-ის მფლობელია გამარტივებული სააქციო საზოგადოება AS24, 347538043, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის რეზიდენტს.

2022 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოსი მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

## 2. შედგენის საფუძველი

### 2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

### 2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

### 2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

### 3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით,

რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8844 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### 3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და სხვა დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან ან გაყიდვიდან, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალ-ცალკე აღირიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

მანქანა-დანადგარები

8-10 წელი

### 3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

### 3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

### 3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული.

### 3.6. სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული ემისიის ხარჯების გამოკლებით. სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია მფლობელებისგან. ამ შემთხვევაში, სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი სხვაობით ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში სესხების მთლიანი სესხის საფუძველზე ეფექტური პროცენტის საფუძველზე. სესხებთან დაკავშირებით გაწეული პროცენტები და სხვა ხარჯები ირიცხება ფინანსური დანახარჯების სახით გაწეული, გარდა სესხის აღების ხარჯებისა, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება კვალიფიცირებული აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელიც კაპიტალიზდება ამ აქტივის ნაწილად.

### 3.7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

### 3.8. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერების შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის აქციონერები. კომპანიის დეკლარირებულ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილებით.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას.

### 3.9. შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნების, ფასდაკლებებისა და ფასდაკლებების გარეშე. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაზომვა; სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში.

### 3.10. გადასახადები

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმოდგენილი.

#### 4. ძირითადი საშუალებები

| ლარი                               | მანქანა - დანადგარები | სულ            |
|------------------------------------|-----------------------|----------------|
| 01 იანვარი 2021 წელი               | 90,643                | 90,643         |
| შესყიდვები                         | 32,928                | 32,928         |
| ჩამოწერა                           | (21,296)              | (21,296)       |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>           | <b>102,275</b>        | <b>102,275</b> |
| შესყიდვები                         | 8,433                 | 8,433          |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>           | <b>110,708</b>        | <b>110,708</b> |
| <i>დაგროვილი ცვეთა</i>             |                       |                |
| 01 იანვარი 2021 წელი               | 58,376                | 58,376         |
| პერიოდის ცვეთა                     | 4,437                 | 4,437          |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>           | <b>62,813</b>         | <b>62,813</b>  |
| პერიოდის ცვეთა                     | 6,826                 | 6,826          |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>           | <b>69,639</b>         | <b>69,639</b>  |
| <i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i> |                       |                |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>           | <b>39,462</b>         | <b>39,462</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>           | <b>41,069</b>         | <b>41,069</b>  |

#### 5. გადახდილი ავანსები

2021 წელს კომპანიის მიერ გაწეული წინასწარი ხარჯები შეადგენდა 25,119 ლარს, 2022 წელს კი 21,873 ლარს. წინასწარ გადახდილი ხარჯები ორივე წელს ძირითადად მოიცავს გადახდილ წლიურ სადაზღვევო პრემიებს. სადაზღვევო პაკეტი მოიცავს ავტოგასამართ სადგურების დაზღვევას, ასევე რისკებსა და პასუხისმგებლობის დაზღვევას.

#### 6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

|                                          | 2022 წლის<br>31 დეკემბერი | 2021 წლის<br>31 დეკემბერი |
|------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ნაღდი ფული ხელზე                         | 341                       | 541                       |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში             | 4,987                     | 8,490                     |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში              | 565,703                   | 1,446,572                 |
| <b>ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე</b> | <b>571,031</b>            | <b>1,455,603</b>          |

საბანკო ნაშთები დენომინირებულია ლარში.

ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში წარმოდგენილია მხოლოდ ევროში და მისი ღირებულებაა 196,125 ევრო.

#### 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ჰქონდა 147,230 ლარის ოდენობის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, ხოლო 2022 წელს - 332,056 ლარი. ეს მაჩვენებლები

წარმოიშვა მისი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, საწვავის მიწოდებით. დებიტორული დავალიანება ანაზღაურდება თვეში ორჯერ.

## 8. სესხები

კომპანიას სესხი სათაო ოფისიდან („გამარტივებული სააქციო საზოგადოება AS24“) აღებული აქვს 2012 წლიდან უვადოდ, საერთო ოდენობით 470,000 ევრო.

2022 წელს სესხის ნაწილობრივი დაფარვა განხორციელდა 200,000 ევროს ოდენობით. შესაბამისად, საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 270,000 ევრო.

## 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| ლარი                                           | 2022 წელი      | 2021 წელი      |
|------------------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტ კომპანიებთან    | 78,456         | 109,747        |
| სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტ კომპანიებთან | 296,592        | -              |
|                                                | <b>375,048</b> | <b>109,747</b> |

სავაჭრო გადასახდელებზე პროცენტი არ ირიცხება. ვალდებულებები ანაზღაურდება თვეში ორჯერ.

## 10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, მისი შემოსავლები შედგება საწვავის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

| ლარი                           | 2022 წელი        | 2021 წელი        |
|--------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი გაყიდული საწვავიდან | 4,040,366        | 3,461,111        |
| დაბრუნება და ფასდაკლება        | (243,735)        | (26,536)         |
| <b>მთლიანი შემოსავალი</b>      | <b>3,796,632</b> | <b>3,434,575</b> |

## 11. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

კომპანიის მიერ რეალიზებული ძირითადი პროდუქტი არის საწვავი, რომლის თვითღირებულებამ 2021 წელს შეადგინა 3,215,876 ლარი, ხოლო 2022 წელს - 3,517,307 ლარი.

## 12. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| ლარი                               | 2022 წელი | 2021 წელი |
|------------------------------------|-----------|-----------|
| იჯარის ხარჯი                       | 3,554     | 3,930     |
| დაზღვევის ხარჯი                    | 59,984    | 69,610    |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები | 83,932    | 62,692    |
| ცვეტა და ამორტიზაცია               | 6,827     | 4,437     |
| სააბონენტო ხარჯები                 | 33,376    | 104,644   |
| ბანკის საკომისიო                   | 2,736     | 1,811     |
| ინტერნეტის ხარჯები                 | 9,374     | 13,244    |
| რემონტის ხარჯი                     | 3,819     | 3,915     |

| ლარი                                              | 2022 წელი      | 2021 წელი      |
|---------------------------------------------------|----------------|----------------|
| ტრანსპორტირების ხარჯი                             | -              | 829            |
| სხვა ხარჯები                                      | 10,520         | 13,964         |
| <b>სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>214,122</b> | <b>279,076</b> |

### 13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიის მშობელ კომპანიას წარმოადგენს გამარტივებული სააქციო საზოგადოება AS24, 347538043, რომელიც ფლობს 100%-იან წილს. კომპანიის დაკავშირებულ მხარეებში შედის მისი აქციონერები და ძირითადი მენეჯმენტი.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. ანგარიშების თარიღისთვის ძირითადი მენეჯმენტისთვის გადასახდელი ხელფასი ნულის ტოლია.

| ლარი                  | 2022 წელი |
|-----------------------|-----------|
| მშობელი კომპანია      |           |
| სესხის დაფარვა        | 565,660   |
| სააბონენტო გადასახადი | 33,376    |

### 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

### 15. ფინანსური რისკის ფაქტორები

#### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

#### უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია ევროში და არარეზიდენტ პირებთან არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.